დღის ნომერში:

# საქართველოს მოფარიკავეები — IV ადგილზე
# რეკორდი დაეცხო 11 წლის შემდეგ
## განვლილ მუშაობასა და სამერმისო ამოცანებზე...

„ენძელამ" ისევ მოსკოვის მიღაზე ამოყო თავი

ცსკა-ს კალათბურთელები პირველ ადგილს უმიზნებენ

მსოფლიო ჩემპიონმა დაადასტურა თავისი უძლეველობა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 61 (3545)

28 მარტი, 1968 წ. ხუთშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

# თასი — კვლავ დინამოელებს

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 27 მარტი.

„დინამო" (მოსკოვი) — „ნეფტჩი" (ბაქო) 2:1 (1:1, 1:1, 2:1, 2:1).

„დინამო": იაშინი, ივანოვი, რიაბოვი, შტაპოვი (ზიკოვი), მასლოვი, ბელიაკოვი, ეშტრეკოვი (ავრუცკი), ბობკოვი, ვშივცევი (კოზლოვი), გუსაროვი, ევრიუჟიხინი (სიომინი).

„ნეფტჩი": კოსენკოვი, ბოგდანოვი, ა. ბაბაევი, ი. ბაბაევი, ლიოგკი (სტეკოლნიკოვი), სემიგლაზოვი, ტუაევი, გაჯიევი, ბანიშევსკი, მარქაროვი, ზეინალოვი (რახმანოვი, ალი-ზადე).

მსაჯი კ. ყრუაშვილი (თბილისი).

„ენძელას" თასი ღირს საიმისოდ, რომ მისი გათამაშების ფინალში უშეღავათოდ, მთელი ძალ-ღონის დაუზოგავად იბრძოლო და აჩვენო ყველაფერი, რისი შნოცა გაქვს.

სწორედ ასე იბრძოლეს წლევანდელი თასის ფინალისტებმა და თუ თა-

(დასასრული მე-4 გვ.).

* * *

სურათებზე: ზევით — მოსკოველთა ერთ-ერთი იერიშისას „ნეფტჩის" მეკარე ვ. კოსენკოვი იგერიებს ძნელ ბურთს; ქვევით — მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი ვ. მასლოვი „ენძელას" პრიზით ხელში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.







სურათზე: ნ. გაფრინდაშვილი თამაშის დროს.

## ახალი ამბები

● კურიტიბა, 26 მარტი. მსოფლიო ჩემპიონი — სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები ბრაზილიის ეროვნულ გუნდს მეორედ ამ ქალაქში შეხვდა. პირველი ტაიმი უაღრესად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. 26:24! მხოლოდ 2 ქულის უპირატესობით წავიდა დასასვენებლად მსოფლიოს ჩემპიონი. მაგრამ აი, შესვენების შემდეგ იგი მთელი ძალით ამოქმედდა და საბოლოოდ დამაჯერებელ გამარჯვებასაც მიაღწია — 63:48.

● სვერდლოვსკი, 26 მარტი. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების მოციგურავეთა საკავშირო ასპარეზობაში ოქროს 2 მედალი მოიპოვა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ვ. სტენინამ („ტრუდი"), რომელმაც გაიმარჯვა 1.000 და 1.500 მეტრზე სწრაფრბენაში. სტენინამ შესაბამისად 1.35,1 და 2.29,3 აჩვენა. იგი უძლიერესი იყო მრავალჭიდშიც (196,966 ქულა). მოსკოველმა სტუდენტმა გ. ნეფედოვამ („ლოკომოტივი") ადგილობრივი საციგურაო „იუნოსტის" რეკორდი დაამყარა 3.000 მეტრზე — 5.11,1. ეს შედეგი 2,5 წამით უკეთესია ოლიმპიური ჩემპიონის კ. მუსტონენის (ფინეთი) ძველ რეკორდზე.

● პრაღა, 27 მარტი. როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ოქტომბერში აქ გაიმართება ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირი. გამოცხადებულია მატჩების განრიგი: 23 ოქტომბერი — ჩეხოსლოვაკია — აშშ, 24 — სსრ კავშირი — კანადა, 25 — ჩეხოსლოვაკია — სსრ კავშირი, 26 — კანადა — აშშ, 27 — სსრ კავშირი — აშშ, 28 — ჩეხოსლოვაკია — კანადა.

● სარატოვი, 27 მარტი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ფარიკაობაში. რაპირისტთა შეჯიბრება მოიგო ადგილობრივმა სპორტსმენმა ი. სისიკინმა, ხოლო დაშნით ასპარეზობა — კიეველმა ი. ვიტებსკიმ. გაიმართა გუნდური ტურნირიც, რომელშიც მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები — ესპადრონისტი, რაპირისტი ქალი, რაპირისტი ვაჟი და დაშნით მოფარიკავე (მოასპარეზენი ზემოაღნიშნული თანმიმდევრობით გამოდიოდნენ საბრძოლო ბილიკზე). ძალიან საინტერესო ბრძოლაში თასი დაისაკუთრა რსფსრ-ს ნაკრებმა (ვ. ნაზლიმოვი, ვ. პრუდსკოვა, ი. სისიკინი, ვ. მოძოლევსკი), რომელმაც ფინალში სძლია უკრაინის გუნდს — 3:1. მხოლოდ კიეველმა ვ. პუტიატინმა დაამარცხა სისიკინი. III ადგილი დაიკავეს მოსკოველებმა, IV — საქართველოს მოფარიკავეებმა.

## ახალი ამბები

### პელემ თქვა...

რიო-დე-ჟანეირო, 27 მარტი. ყოველკვირეულ „კინკო დე მარკოს" კორესპონდენტთან ინტერვიუში გამოჩენილმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა პელემ კვლავ დაადასტურა, რომ იგი არ აპირებს მეხიკოს 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას. ამავე დროს მან აღნიშნა, რომ საფეხბურთო კარიერასთან დამშვიდობებას მხოლოდ 5-6 წლის შემდეგ აპირებს და გამორიცხული არაა, რომელიმე უცხოურ კლუბში ითამაშოს.

პელემ თქვა, რომ სწამს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიის ნაკრების გამარჯვებისა. (საკდესი).

### [illegible] საათი

◆ სან-პაულუ, 27 მარტი. სსრ კავშირისა და ბრაზილიის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების აქ გამართული მესამე მატჩი ყველაზე მძაფრი გამოდგა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონებმა — ბრაზილიელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მსოფლიო ჩემპიონებს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ — 79:82 (35:37).

მესამე მატჩი — მესამე გამარჯვება!

### ჭუჭუნ...

თბილისის „დინამოს" სტადიონზე დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა საგაზაფხულო შეჯიბრება მძლეოსნობაში საშუალო (1952–53 წლებში დაბადებულთა) და უმცროსი (1954-55 წ. წ.) ასაკის ბიჭებისა და გოგონებისათვის. ონელმა ე. ჩამგელიანმა (მწვრთნელი უ. საბანაშვილი) ბადრო 40,53 მეტრზე ტყორცნა და 1 მეტრით გააუმჯობესა 11 წლის წინ ბათუმელი მ. ნედელიას მიერ დამყარებული რესპუბლიკური რეკორდი საშუალო ასაკის გოგონებისთვის. ამ ასაკის ჭაბუკებში თავი ისახელა ლანჩხუთელმა თ. გოგიბერიძემ (მწვრთნელი ბ. ტახტაროვი), რომელმაც რვაჭიდში 4084 ქულა მოაგროვა. ეს შედეგი 284 ქულით აღემატება რეკორდის სარეგისტრაციო საწყის ნორმატივს.

### მოსკოვსა და ოდესაში

დამთავრდა სსრ კავშირის „ა" კლასის ფრენბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის II წრის მატჩები. პირველობისთვის ბრძოლას გუნდები ივნისში განაახლებენ. ზაფხულის ბატალიების წინ სატურნირო ცხრილის სათავეშია ალმა-ათის „ბურევესტნიკი" (39 ქულა). მას მიჰყვებიან: ხარკოვის „ბურევესტნიკი" (37), ტალინის „კალევი" და რიგის „რადიოტექნიკი" (36-36), როსტოვის ასკ (34), ცსკა (33), ოდესის „ბურევესტნიკი" და კიევის „ლოკომოტივი" (32-32), ბაქოს ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი (31), მოსკოვის „ბურევესტნიკი" (30), მოსკოვის „დინამო" (29) და მინსკის „ბურევესტნიკი" (27).

# მონაპოვარი რომ შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ

## საქართველოს ფიზკულტურის მუშაკთა აქტივის კრებაზე

შარშან საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს 50 წლისთავი. ამ იუბილეს ღირსეული შეხვედრისთვის დაუღალავად იღვწოდნენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები. მათ არც ფიზკულტურელები და სპორტსმენები ჩამორჩნენ, — სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადა ამ თარიღს მიეძღვნა.

საიუბილეო წელს საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმაც მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს. თუ რა გაკეთდა შარშან, როგორია ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული კოლექტივების, სპორტსაზოგადოებების, სპორტსმენების შრომის შედეგი, რა საპირისპირო ამოცანებია მათ წინაშე დასახული, ამაზე იმსჯელა ამას წინათ თბილისში გამართულმა საქართველოს ფიზკულტურული აქტივის კრებამ, რომელზეც მოწვეული იყვნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკის სპორტკავშირის თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ბალავაძე. მის გამოსვლაში ფართოდ იყო გაშუქებული ის ძვრები, რაც საქართველოს ფიზკულტურელთა ცხოვრებაში საიუბილეო წელს მოხდა, რამაც ხელი შეუწყო ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შარშანდელი გეგმა-ვალდებულების საშვიდნოემბრო გადაჭარბებით შესრულებას. საიუბილეო წელს ჩვენს რესპუბლიკაში ნაცვლად თერთმეტისა, მომზადდა 18 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 185 სპორტის ოსტატის მაგიერ — 212. საგრძნობლად იმატა ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმულთა რიცხვმა. შარშან საქართველოს ფიზკულტურელთა არმია 60 ათასი კაცით გაიზარდა და დღეისთვის მისი რიცხვი მილიონ 90 ათასია. შესაბამისად იმატა საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების რიცხვმაც. თუ 1966 წელს ერთ საზოგადოებრივ ინსტრუქტორზე 15 ფიზკულტურელი მოდიოდა, შარშანდელი წლის დამლევისთვის ეს ციფრი 12-მდე დავიდა. თუ აღვნიშნავთ იმასაც დავუმატებთ, რომ საიუბილეო წელიწადს მნიშვნელოვანი წარმატებანი მოვიპოვეთ მშრომელთა ფიზიკურ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩაბმის საქმეში, ცხადი გახდება, რომ საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა პირნათლად შეასრულეს პირობა, რისთვისაც ზედიზედ მეორედ მოიპოვეს სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ჩვენს წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სპორტული კლუბების „სინათლის“, „უშბის“, „ფოლადის“, „ისინდის“, „ლელოს“, აგრეთვე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ქუთაისის აბრეშუმსაქსოვი კომბინატის, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის, მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეობისა და სხვა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა იმ შედეგებზე, რაც საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვია მრავალწლიანმა გამოცდილებამ მოიტანა, თქვა, რომ ამ ღონისძიების სისტემატური გამოყენებით შეიძლება მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების ზრდას და მნიშვნელოვან ეფექტს მშრომელთა გაჯანსაღებაში.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის აგვისტოს დადგენილების — „ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ — საფუძველზე გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამებას რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში, სკოლებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში იატარებულ საქმიანობას, ბაზების მდგომარეობას. ვ. ბალავაძემ აღნიშნა, რომ შარშან მნიშვნელოვანი ღონისძიებანი დაისახა რესპუბლიკის სპორტბაზების ქსელის გასაფართოებლად. ქუთაისში მიმდინარეობს საქართველოში საუკეთესო აუზის მშენებლობა, თბილისში აიგება ველოტრეკი, საჭადრაკო და ალპური კლუბების შენობა, „განთიადის“ საჭიდაო დარბაზი, მიმდინარეობს „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქცია, ფიზკულტურის ინსტიტუტის ტერიტორიაზე ეწყობა კრივის, ძალოსნობის, ფარიკაობის სპეციალური დარბაზები; ცხინვალში, თელავში, ტყიბულში, ახალციხეში, ხაშურში, მცხეთაში შენდება დარბაზები და სტადიონები, რომელთაც ფეხბურთის მინდორი, სარბენი ბილიკები და მძლეოსნური სექტორებიც ექნებათ. ითქვა, რომ რესპუბლიკის ბევრ რაიონში, უმაღლეს სასწავლებელში, საწარმოო და საკოლმეურნეო კოლექტივში მაღალ დონეზე დგას მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა. ამის მეშვეობით ელინდება ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელიც შემდეგ საქართველოს ნაკრებ გუნდებში იმკვიდრებს ადგილს და წარმატებით ასპარეზობს საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე.

— შარშან ბევრი რამ გაკეთდა სპეციალისტთა აღსაზრდელად, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კიდევ უფრო ასამაღლებლად. მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებასთან დაკავშირებით ჩვენმა მეცნიერებმა სერიოზულად იმუშავეს სპორტსმენთა აკლიმატიზაციის საკითხების შესასწავლად. — განაგრძობს მომხსენებელი, — მაგრამ აუცილებელია კვლევითი მუშაობის კიდევ უფრო გაშლა, განსაკუთრებით სხვადასხვა ასაკის ადამიანთა ფიზიკური აღზრდის მეთოდებისა და მეთოდიკის, საწარმოო ტანვარჯიშის, ჯანმრთელობის ჯგუფების, სპორტული წვრთნის მეცნიერული დამუშავების სფეროში.

მომხსენებელს არც ის დავიწყებია, რომ ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდაში უფრო მეტი ევალებათ ჩვენს მწერლებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს, თეატრისა და კინოს მუშაკებს, მაგრამ ისინი არ იჩენენ ინტერესს სპორტული თემატიკისადმი.

ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურელთა ცხოვრებაში შარშან ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადა იყო. ამიტომ ბალავაძის მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო ამ ღონისძიებას, სპარტაკიადისთვის საქართველოს დელეგაციის მზადებას და ტურნირებში ჩვენი გუნდების მიერ მოპოვებულ მაჩვენებლებს, ნაკლოვანებათა მიზეზების მხილებას.

საიუბილეო სპარტაკიადის ფინალს წინ უძღოდა მასობრივი შეჯიბრებები ფიზკულტურულ კოლექტივებში, ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლების სპარტაკიადები. ეს იყო პირველი, ყველაზე მასობრივი ეტაპი. ორგანიზებულად ჩატარდა მეორე ეტაპიც — რაიონების, ქალაქების, საოლქო, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა, აგრეთვე, ზონალური სპარტაკიადები. ამ შეჯიბრებებში შეირჩა და საბოლოოდ დაკომპლექტდა ნაკრები გუნდები, რომლებიც შემდეგ თბილისში, რესპუბლიკის საიუბილეო სპარტაკიადის ფინალში გამოდიოდნენ. სულ საქართველოს IV სპარტაკიადაში ნახევარი მილიონი ფიზკულტურელით მეტი მონაწილეობდა, ვიდრე წინა ამგვარ ასპარეზობაში.

საკავშირო სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს დელეგაცია ისევ V ადგილზე გავიდა და მეოთხედ დაისაკუთრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი პრიზი. ამას გარდა ჩვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საიუბილეო სამახსოვრო პრიზი მოზრდილთა, მოსწავლეთა და დოსააფის გუნდების მიერ მოგროვებული ქულებისთვის. მოსწავლეებმა თავიანთ სპარტაკიადაში VI, დოსააფის სპორტსმენებმა კი VII ადგილები დაიკავეს. მდგომარეობის გამოსწორებისთვის ბრძოლა მოზრდილთა ნაკრებ გუნდებს დაეკისრათ. საკავშირო სპარტაკიადამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს. ტექნიკური შედეგების გამუდმებული ზრდის ეპოქაში უამისოდ ძნელია საპრიზო ადგილების მოპოვება.

მომხსენებელმა ქებით მოიხსენია ის რესპუბლიკური ფედერაციები, რომლებმაც შარშან განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავეს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს გუნდების წარმატებებში. ესაა ჭიდაობის (თავმჯდომარე ი. სარაჯიშვილი), ჩოგბურთის (ვ. კანდელაკი), ტანვარჯიშის (შ. ყარყარაშვილი), მძლეოსნობის (ს. ჩხარტიშვილი), ტყვიის სროლის (ა. ფინენკო), წყალში ხტომის (ი. ურუშაძე), ჭადრაკისა (ა. ჭირაქაძე) და ფეხბურთის (გ. ჯინჭარაძე) ფედერაციები.

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადებაში საქართველოს სპორტკავშირს დიდად დაეხმარნენ, აგრეთვე, ტყიბულის (პარტიის რაიკომის მდივანი კ. ლომაძე), ხაშურის (დ. მაღალაშვილი), ბორჯომის (ბ. კუხიანიძე), ოჩამჩირის (ი. ამიჩბა) და თიანეთის (ნ. გელიაშვილი) რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, რომლებმაც ყველაფერი იღონეს, რათა ჩვენი ნაკრები კოლექტივებისთვის ნორმალური ვარჯიშის პირობები შეექმნათ.

ბევრმა გუნდმა ზრუნვას მაღალი შედეგებით უპასუხა — საკავშირო სპარტაკიადაში კარგად გამოვიდნენ თავისუფალი სტილის მოჭიდავეები (I ადგილი), ჩოგბურთელები (II), წყალბურთელები (III), კლასიკური სტილის მოჭიდავენი (IV), წყალში მხტომელები და მოფარიკავეები (V), მესტენდურეები და ტყვიის მსროლელები (VI). თუმცა, — აღნიშნა მომხსენებელმა, — მესტენდურეები უფრო კარგ შედეგს მოიპოვებდნენ, ადგილიდან მსროლელებისთვის (I ადგილი) მრუვალ სტენდზე მსროლელებს (XIV) რომ არ ეღალატათ. მათი წარუმატებლობის გამო ამ სახეობის კომპლექსურ ჩათვლაში VI ადგილზე გავედით.

შარშან კარგად იმუშავეს „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „განთიადის“, „სპარტაკის“ საბჭოებმა. ყველაზე მეტი შევსება მათ მისცეს რესპუბლიკურ ნაკრებს და სპარტაკიადაში საქართველოს წარმომადგენელთა მიერ მოპოვებული 72 მედლიდან უმეტესობაც სწორედ ამ საზოგადოებათა სპორტსმენებზე მოდის. მაგალითად, დინამოელებმა მოსკოვში 38 მედალი მოიპოვეს, „ბურევესტნიკის“, „განთიადისა“ და „სპარტაკის“ წარმომადგენლებმა — 7-7, ასკ-ს სპორტსმენებმა — 4, „კოლმეურნისა“ და „ლოკომოტივის“ ფიზკულტურელებმა — 3-3, „შრომითი რეზერვებისა“ და მონკავშირის წარმომადგენლებმა — შესაბამისად 2 და 1.

მომხსენებელს მხედველობიდან არც უმაღლესი სასწავლებლების ხვედრითი წონა გამორჩენია. მან აღნიშნა, რომ საქართველოს დელეგაციის 453 წევრიდან 221 სტუდენტი იყო. გუნდს ყველაზე მეტი შევსება მისცეს პოლიტექნიკურმა (82) და ფიზკულტურის (55) ინსტიტუტებმა, უნივერსიტეტმა (40) და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა (27). სხვები 1-5 სპორტსმენის მომზადებას დასჯერდნენ. ყველაზე მეტი მედალი უნივერსიტეტელებმა (14) დაისაკუთრეს.

შემდეგ მომხსენებელმა გააანალიზა მოსწავლეთა და დოსააფის ორგანიზაციებში შარშან ჩატარებული მუშაობისა და სპარტაკიადაში მათი გუნდების მონაწილეობის შედეგები. მან თქვა, რომ მოსწავლეთა სპარტაკიადაში კარგად გამოვიდნენ ფეხბურთელები, მოჭიდავეები, ტანმოვარჯიშეები, მოჭადრაკეები და მოფარიკავეები.

— როცა საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების შარშანდელ მიღწევებზე ვლაპარაკობთ, არც არსებულ ნაკლოვანებებზე უნდა დავხუჭოთ თვალი, — განაგრძობს მომხსენებელი. — დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ სპარტაკიადისთვის საქართველოს გუნდის მოსამზადებლად ყველგან ერთნაირად როდი იზრუნეს. მაგალითად, თბილისმა ნაკრებს 369 სპორტსმენი მოუმზადა, ფოთმა — 25, აფხაზეთმა — 21, ქუთაისმა — 15, მცხეთამ — 11, აჭარამ — 5, რუსთავმა — 3, ცხაკაიამ — 2, წყალტუბომ და ზუგდიდმა — თითო. რესპუბლიკის სხვა რაიონებმა და ქალაქებმა (მათ შორის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმაც) რესპუბლიკას ამ მხრივ ვერაფერი არგეს.

სპორტი უწყებებსა და სპორტსაზოგადოებებშიც უთანაბროდაა განვითარებული. ის, რომ სპარტაკიადაში ჩოგბურთელებმა VI ადგილი დაიკავეს, ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს. პირდაპირ უსუსური შედეგები გვქონდა საგზატკეცილო ველორბოლაში (XV ადგილი), აკადემიურ ნიჩბოსნობაში (XIV), კრივსა და თანამედროვე ხუთჭიდში (XI) ამ მხრივ უფროსებს არც ნორჩი ველოსიპედისტები (XIV), ხელბურთელები (XIII), მძლეოსნები (XII) და მოცურავეები (IX) ჩამორჩნენ. მაშასადამე, საქართველოს სპორტსმენთა ოსტატობის ზრდა ყველა სახეობაში არ დგას სათანადო სიმაღლეზე, წარუმატებლობის სათავე კი სასკოლო სპორტის ჩამორჩენაში უნდა ვეძებოთ.

პირველად ჩვენს რესპუბლიკაში გაიხსნა სპორტსკოლები, შემდეგ კი სპეციალური სპორტსკოლა-ინტერნატიც, რომელთა საქმიანობამაც საერთო აღიარება ჰპოვა. ახლა ასეთი სკოლა მრავლადაა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, საქართველოში კი ერთი სპეციალური სკოლა იყო და ერთი დარჩა. ზოგიერთ სპორტსკოლაში მუშაობის დონე ჯერ კიდევ დაბალია. მარნეულის და სიღნაღის რაიონების ბავშვთა სპორტსკოლები, აგრეთვე, წყალტუბოსა და ჩოხატაურის რაიონების ახალგაზრდული სპორტსკოლები წლების მანძილზე ვერ ამზადებენ თანრიგოსნებს.

სახარბიელო მდგომარეობა არც საშუალო და რვაწლიან სკოლებშია. მათ უმეტესობას ჯერ კიდევ არა აქვს დარბაზები. საშველი არ დაადგა № 1 სპეციალური სპორტული სკოლა-ინტერნატის მძლეოსნური მანეჟის აგებას. არც არსებული ბაზებია სათანადოდ გამოყენებული. თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონი, კიროვის პარკის სპორტთამაშების მოედნები, „სპარტაკის“ აუზი ბათუმში ხშირად უქმადაა. თითქმის უპატრონოდაა მიტოვებული თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატისა და ასკ-ს სტადიონები.

მომხსენებელმა გააკრიტიკა არქიტექტორთა კავშირი, რომელმაც საჭიროდ არ სცნო პასუხი გაეცა დიღმის მასივის ჯანმრთელობისა და დასვენების სახალხო კლუბის „დილას“ ღია წერილზე (ეს წერილი შარშანწინ დაიბეჭდა „ლელოში“): უსაყვედურა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ბაკურიანის პანსიონატისა და 90-მეტრიანი ტრამპლინის მშენებლობის გაჭიანურებისთვის, „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტს ლესელიძეში საძინებელი კორპუსის მშენებლობის ჩაშლისთვის.

დასასრულ მომხსენებელმა ილაპარაკა საქართველოს ფიზკულტურელთა შემდგომ ამოცანებზე, მეხიკოს ოლიმპიადისთვის მზადებაზე და სხვ.

კამათი დაიწყო აფხაზეთის სპორტკავშირის თავმჯდომარის ჯ. ბუგაჟის გამოსვლით. აფხაზეთის ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ შარშან გაწეული მუშაობის მოკლედ მიმოხილვის შემდეგ მან ილაპარაკა სპორტის სახეობათა თანაბარი განვითარების შემაფერხებელ მიზეზებზე, ბაზების გაჭიანურებულ მშენებლობაზე, სოფლის ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის ნაკლოვანებებზე. მან აღნიშნა, რომ აფხაზეთის განათლების სამინისტრო ფიზაღზრდის მასწავლებლების საქმიანობის შემოწმებით თავს არ იწუხებს, არ ახალისებს კადრებს, რის გამოც ბევრგან მუშაობა თვითდინებაზეა მიცემული.

ი. ბაცელაშვილმა (საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე) ილაპარაკა განათლების სამინისტროს მიერ ბოლო წლებში მოსწავლეთა შორის ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისთვის გატარებულ ღონისძიებებზე. მან თქვა, რომ ამჟამად რესპუბლიკაში 95 სპორტსკოლაა, შარშან აშენდა 25 სპორტდარბაზი, რომლებშიც 200 ათასი მანეთის ინვენტარი შეიტანეს. ფიზკულტურაში ჩაბმულია III-X კლასების მოსწავლეთა 88 პროცენტი. ბაცელაშვილმა აღნიშნა, რომ სპორტსაზოგადოებათა უმეტესობა („დინამოს“ და „განთიადის“ გარდა) ნაკლებ ყურადღებას აქცევს ბავშვებთან მუშაობას, არ შეეფობს სკოლებს და საკუთარ კადრებს არ ზრდის. მან ილაპარაკა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის დებულების უსწორობაზე, ტურნირებში ჩვენი მოსწავლე-სპორტსმენების წარუმატებლობის მიზეზებზე.

თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ორგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ზ. ბერიაშვილი შეეხო ჭიდაობის განვითარების ხელშემშლელ მიზეზს — სპეციალური დარბაზების სიმცირეს. ეს ნაკლი, — თქვა მან, — ერთგვარად გამოსწორდა ფიზკულტურის ინსტიტუტთან ჭიდაობის სპეციალური დარბაზის აგებით, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის სათანადო ტექნიკით აღჭურვილი. ბერიაშვილმა წამოაყენა წინადადება, რომ გაიხსნას „ფალავანთა კლუბი“ და მასთან ჭიდაობის სპორტსკოლა. ამასთან, მან თქვა, რომ დროა შეიქმნას ქართული სპორტული ჟურნალი, რომელიც დიდ ადგილს დაუთმობდა მეთოდურ საკითხებს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის ლ. ქავთარაძის გამოსვლა მიეძღვნა მწვრთნელისა და ექიმის ურთიერთკავშირს, ექიმის როლს ფიზკულტურასა და სპორტში. მან თქვა, რომ მწვრთნელებსა და ექიმებს შორის კავშირი სუსტია, მწვრთნელები ზოგჯერ უარყოფენ ექიმების რჩევას. ლ. ქავთარაძემ ილაპარაკა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საექიმო შემოწმების საკითხზე, საექიმო ფიზკულტურის დისპანსერების მუშაობაზე.

საქართველოს კომპარტიის ონის რაიკომის პირველმა მდივანმა ზ. აბაიშვილმა თქვა, რომ რაიონის 74 კოლექტივში 5 ათასზე მეტი ფიზკულტურელია, რომ ონელებს მოჭიდავეების აღზრდის კარგი ტრადიცია აქვთ, რომ ამ რაიონში დიდია სათხილამურო სპორტის, ტურიზმისა და მთამსვლელობის განვითარების შესაძლებლობანი, მაგრამ ეს პირობები გამოუყენებელია. აბაიშვილმა აღნიშნა, რომ რაიონი ცუდად მარაგდება სპორტინვენტარითა და ფორმით, თქვა, — კარგი იქნება, თუ ქალაქები სოფლის რაიონებზე შეფობას ითავებენ და ამით ხელს შეუწყობენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას.

ფიზკულტურელებისთვის კომკავშირის ზრუნვას, სპორტსმენთა იდეოლოგიური აღზრდის საკითხებს მიუძღვნა გამოსვლა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ი. გამრეკელმა.

საქართველოს დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ს. აბულაძემ აქტივს გააცნო სპორტის ტექნიკურ სახეობებში გაწეული მუშაობის შედეგები. მან აღნიშნა, რომ შარშან გაიმართა 22 ათასი შეჯიბრება, რომლებშიც 600 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა. ამან ხელი შეუწყო ჩვენი გუნდების შედეგების ზრდას. ტექნიკური სახეობების სპარტაკიადაში VII ადგილი დავიკავეთ (1966 წელს — IX, 1965 წელს — XI). ბოლოს აბულაძემ ილაპარაკა ტექნიკური სპორტის განვითარების ხელშემშლელ პირობებზე (ბაზების სიმცირე), თბილისში სპეციალური სპორტულ-ტექნიკური სკოლის გახსნის პერსპექტივებზე.

საქართველოს ფიზკულტურის მუშაკთა აქტივის კრებამ მიიღო სათანადო რეზოლუცია.

## ლექტორები იზმენენ ლექციებს

თბილისში ორ დღეს გაგრძელდა ფიზკულტურის ლექტორთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელიც გახსნა „ცოდნის“ რესპუბლიკური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ჭახრაკიამ.

თათბირ-სემინარზე პირველ დღეს წაიკითხეს შემდეგი მოხსენებები: „ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის ძირითადი მიმართულებანი“ (მომხსენებელი — ი. ოსიპოვი, სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს ლექციური პროპაგანდის ფედერაციის თავმჯდომარე), „საერთაშორისო სპორტული მოძრაობა თანამედროვე ეტაპზე“ (ა. ვერეინი — სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს საერთაშორისო სპორტული კავშირის სამმართველოს უფროსის მოადგილე), „ფიზკულტურის ლექციური პროპაგანდის მდგომარეობა საქართველოში“ (დოცენტი ვ. ელაშვილი — საქართველოს სპორტკავშირის ლექციური პროპაგანდის ფედერაციის თავმჯდომარე), „საბჭოთა სპორტსმენის მორალური სახე“ (ა. ციბაძე — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დეკანი), „კომკავშირი და ფიზკულტურა“ (ი. გამრეკელი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი).

რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოსულმა ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდისტებმა მეორე დღეს შემდეგი მოხსენებანი მოისმინეს: „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“ (პროფესორი ე. მენაბდე), „სპორტის ფსიქოლოგიის განვითარება საქართველოში“ (პროფესორი ვ. ნორაკიძე), „ლექტორის ენა“ (პროფესორი ი. ქავთარაძე), „ლექციების მომზადებისა და ჩატარების მეთოდიკა“ (დოცენტი ი. მაისურაძე), „მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება“ (სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ლენცი).

თათბირ-სემინარზე, რომლის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს სპორტკავშირი და „ცოდნის“ რესპუბლიკური საზოგადოება, მსმენელებს თავიანთი მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს ქარელის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარემ შ. ბარჯაძემ, დუშეთის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარემ ნ. კარიაულმა, ცაგერის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარემ გ. ხვადაგიანმა, გარდაბნის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარემ ს. ხელაშვილმა. გამოვიდნენ ლექტორები: ა. გელაშვილი (ბორჯომი), გ. წივწივაძე (წულუკიძე), ნ. ჰეჰელაშვილი (გორის რაიონი).

ო. ნოზაძე.

ჭადრაკი

# ნონა — პირველი

### მეორე ადგილი დაიკავა ალა კუშნირმა

ბელგრადი, 27 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ქალთა IV საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის დასკვნითი, XIII ტურის წინ გადადებული პარტიების დამთავრებისას ტ. შტადლერმა ზუსტი თამაშით მოუგო რ. იოვანოვიჩს, ხოლო ა. კუშნირმა — ვ. ასენოვას.

XIII ტურში ყველაზე ადრე, უკვე მე-11 სვლაზე ყაიმით დამთავრდა ე. ბილეკ — ნ. გაფრინდაშვილის შეხვედრა. მსოფლიო ჩემპიონს I ადგილისთვის ყაიმიც ჰყოფნიდა. ყაიმს დასჯერდა ა. ნიკოლაუც (რ. იოვანოვიჩთან).

კუშნირი შეუპოვრად ეთამაშა შტადლერს და დაამარცხა კიდეც. „შავი დღე“ დაადგა მ. ლილიაკს ასენოვასთან. ბოლო 6 შეხვედრაში მან 5,5 ქულა მოაგროვა, მაგრამ ბულგარეთის ჩემპიონთან თამაშის დროს ღელავდა, ხარისხი დათმო და მეორე დღეს პარტიაც წააგო.

მ. ლაზარევიჩ-მარკოვიჩმა მოუგო კ. იოვანოვიჩს, ჰ. კონარკოვსკა-სოკოლოვამ — ქ. გოლუბ-რაძიკოვსკას, ხოლო ლ. იოჟიჩ-ქივკოვიჩმა — ფ. ჰეემსკერკს.

ტურნირი დამთავრდა. მისი საბოლოო შედეგები აქ მოყვანილ ცხრილში ჩანს.

| გვარი, ქვეყანა | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | ქულა | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტ. შტადლერი იუგოსლ. | 1 | ■ | 0 | 0 | ½ | ½ | 1 | ½ | 0 | ½ | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 6 | VIII-X |
| მ. ლილიაკი „ — “ | 2 | 1 | ■ | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | ½ | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 | 8½ | IV |
| ნ. გაფრინდაშვილი სსრკ. | 3 | 1 | 1 | ■ | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | 1 | 1 | ½ | 1 | ½ | 1 | 10½ | I |
| ა. ნიკოლაუ რუმინეთი | 4 | ½ | 1 | ½ | ■ | ½ | 1 | 1 | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | ½ | 1 | 9½ | III |
| კ. იოვანოვიჩი იუგოსლ. | 5 | ½ | 1 | ½ | ½ | ■ | 1 | ½ | 1 | 0 | ½ | ½ | ½ | 0 | 1 | 7½ | V-VI |
| ქ. გოლუბ-რაძიკოვსკა პოლონ. | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | ■ | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | ½ | 2½ | XIII |
| ლ. იოჟიჩ-ქივკოვიჩი იუგოსლ. | 7 | ½ | 0 | ½ | 0 | ½ | 0 | ■ | 1 | 0 | ½ | 1 | 1 | 0 | 1 | 6 | VIII-X |
| ჰ. კონარკოვსკა-სოკოლოვა „ — “ | 8 | 1 | ½ | 0 | ½ | 0 | 1 | 0 | ■ | 0 | ½ | 1 | ½ | ½ | 1 | 6½ | VII |
| მ. ლაზარევიჩ-მარკოვიჩი „ — “ | 9 | ½ | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | ■ | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 7½ | V-VI |
| რ. იოვანოვიჩი „ — “ | 10 | 0 | 0 | 0 | ½ | ½ | 1 | ½ | ½ | 0 | ■ | ½ | ½ | ½ | 1 | 5½ | XI |
| ე. ბილეკი უნგრეთი | 11 | 1 | 0 | ½ | 0 | ½ | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | ■ | ½ | 0 | 1 | 4 | XII |
| ვ. ასენოვა ბულგარეთი | 12 | 0 | 1 | 0 | ½ | ½ | 1 | 0 | ½ | 1 | ½ | ½ | ■ | 0 | ½ | 6 | VIII-X |
| ა. კუშნირი სსრკ | 13 | 1 | 0 | ½ | ½ | 1 | 1 | 1 | ½ | 1 | ½ | 1 | 1 | ■ | 1 | 10 | II |
| ფ. ჰეემსკერკი ჰოლანდია | 14 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | 0 | ■ | 1 | XIV |

# ლიდერობენ ქარსელაძის აღზრდილები

თბილისის ვაჟთა საჭადრაკო პირველობაში 9 ტურის შემდეგ ლიდერობენ რ. ჯინჯიხაშვილი — 6,5 (2), თ. გიორგაძე — 6,5 (1), ა. ბოკუჩავა — 5,5 (2), გ. კალატოზიშვილი — 5,5, ხ. მეგრელიშვილი — 5 (1), გ. ციხელაშვილი, ე. უბილავა — 4,5 (1), თ. ლომაია — 4 (2), ვ. ვეფხიშვილი — 4 (1), ნ. ალექსანდრია — 4.

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ლიდერებს ყველა გაათკეცებული მონდომებით ებრძვის. ამას ჯინჯიხაშვილიც გრძნობს. თ. ელიოზიშვილმა და ე. მიქაელიანმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მას. პარტიები გადაიდო.

გიორგაძეს რომანტიკა არ იტაცებს. მას, როგორც იტყვიან, დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს. თუ პოზიცია საიმედოს არაფერს უქადის, იგი ყაიმით კმაყოფილდება, როგორც ეს ბოლო სამ შეხვედრაში მოხდა.

ბოკუჩავა ლიდერთა ჯგუფში მოხვდა. ეს განსაკუთრებით სასიამოვნოა, ვინაიდან ნიჭიერი ოსტატი ბოლო დროს წარუმატებლად თამაშობდა ტურნირებში. აღსანიშნავია მისი გამარჯვება გ. მაჭავარიანთან, რომლის მეფე მანამდე ვერავინ დაამარცხა.

ზედიზედ ოთხი მოგების შემდეგ კალატოზიშვილმა „დასვენება“ მოაწყო — ორ ყაიმს დაჯერდა.

საინტერესოა, რომ ყველა ზემოდასახელებული ლიდერი ცნობილი მწვრთნელის გ. ქარსელაძის აღზრდილია. არც ნანა ალექსანდრია ღალატობს „ფირმის“ მარკას. მან ზედიზედ მოიგო ბოლო სამი შეხვედრა — ოსტატ უბილავასთან, ოსტატობის კანდიდატ ციხელაშვილთან და ვეფხიშვილთან. აღსანიშნავია ამ პარტიების ხარისხი, რაც ნანას წინსვლაზე მეტყველებს.

ყურადღებას იქცევს ხ. მეგრელიშვილის საუცხოო შედეგები ძლიერ მეტოქეებთან, რომლებთანაც იგი ადრე უხეიროდ თამაშობდა. ბოლო დღეებში სულიკომ მოუგო ელიოზიშვილს, მიქაელიანს, ყაიმზე შეუთანხმდა ოსტატ ლომაიასა და მაჭავარიანს.

ამბობენ, რომ ზ. მიქაძე ყაიმების დიდოსტატია. სხვათა შორის, ამას წინათ ჩელიაბინსკში, „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობის ნახევარფინალში მან 17 შეხვედრიდან 16 (!) ყაიმით დაამთავრა. ამჯერად ზურაბს მეტოქეები არ ასვენებენ და სამჯერ ფარ-ხმალიც კი დააყრევინეს. როგორც ჩანს, ჭადრაკში მშვიდობიანი პოლიტიკა კარგის მომასწავებელი როდია.

გაკვირვებას იწვევს ოსტატობის კანდიდატის ნ. ჩახოიანის წარუმატებლობა. მან ცხრავე პარტია წააგო.

წინ გადამწყვეტი შეხვედრებია. დარჩენილი 7 ტური ბევრს ჰპირდება მათ, ვისაც საქართველოს პირველობის ფინალში თამაშის შანსი არ დაუკარგავს.

**თ. ნინოშვილი.**

* * *



სურათზე: რ. ჯინჯიხაშვილი და ნანა ალექსანდრია საუბრობენ თამაშის დაწყების წინ.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## [illegible]

### თბილისი

გაიმართა ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა საზოგადოებების სპორტსმენთა ამხანაგური შეხვედრები კლასიკურ ჭიდაობასა და ჭადრაკში. ჭადრაკში იმარჯვა ყრუ-მუნჯთა საზოგადოებამ (4,5:2,5), ხოლო შეხვედრა კლასიკურ ჭიდაობაში დამთავრდა ფრედ — 7:7.

**ნ. ყასუმაშვილი,**
„სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი.

### თელავი

სოფ. ფშაველში ტრადიციად იქცა სპორტის დამსახურებული ოსტატ გ. ჩოხელის სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში.

ასეთი შეჯიბრება მოეწყო წლეულსაც. თასი მოიპოვეს ლენინის სახელობის ქუჩის ფეხბურთელებმა.

**ზ. ჯაჭვაძე.**

### თერჯოლა

„კოლმეურნის“ რაისაბჭოს მომუშავეთა გუნდურ ჩემპიონატში I ადგილი დაიკავა ჭოგნარის კოლმეურნეობამ, II — ხეხილის სანერგე მეურნეობამ, III — ზედა სიმონეთის სასოფლო-სამეურნეო არტელმა.

* * *

საინტერესო იყო რაიონის სკოლების გუნდური პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაში 10 კოლექტივი მონაწილეობდა. I ადგილი ხვდა სიქთარვის, II — ახალი თერჯოლის, ხოლო III — ქვედა სიმონეთის მე-2 უბნის რვაწლიანი სკოლის გუნდს.

**ლ. ჯიშიაშვილი.**

### ოჩამჩირე

ადგილობრივ სპორტსკოლაში მოეწყო მაგიდის ჩოგბურთელთა პირადი პირველობა. შეჯიბრებაში ჩაება 10 ჭაბუკი და 4 გოგონა. ყველას აჯობა მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლე გოგონამ, აფხაზეთის ნაკრების წევრმა ლ. პოპანდოპულომ, რომელმაც ცამეტივე შეხვედრა მოიგო.

**რ. ჟედია.**

## სტარტზე — ქალები

მძლეოსან ქალთა რაიონულ კროსში რვაწლიანი და საშუალო სკოლების სპორტსმენები მონაწილეობდნენ. რვაწლიანი სკოლების მოსწავლეები 300, ხოლო უფროსები 500 მეტრზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

300 მეტრზე ყველას აჯობა რ. კვატაიამ (სიქთარვა). გუნდურ ჩათვლაშიც ამ სოფლის სკოლის მოსწავლეებმა ისახელეს თავი.

500 მეტრზე რბენაში I და II ადგილები გაიყვეს საზანოელმა ა. წიწილაშვილმა და ზედასიმონეთელმა ნ. მეფარიძემ. გუნდური პირველობა თერჯოლის საშუალო სკოლის კოლექტივმა მოიგო.

**ვ. კუტალაძე.**

თერჯოლის რაიონი.

# მიუხედავად ამისა...

## პარტრაიკომის ბიურომ იმსჯელა

ახლახან საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის ბიურომ განიხილა IV რესპუბლიკურ სპარტაკიადაში რაიონის ნაკრები გუნდის მონაწილეობის შედეგებისა და მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხი.

ბიუროზე აღინიშნა, რომ რაიონის ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით გარკვეული წარმატებები მოიპოვეს. მაგალითად, წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაფართოვდა სპორტნაგებობათა ქსელი; საქართველოს IV საიუბილეო სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღო რაიონის 57-კაციანმა ნაკრებმა, რომელმაც წინა სპარტაკიადებთან შედარებით უკეთეს შედეგებს მიაღწია.

მიუხედავად ამისა, სპორტული ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ნაკლოვანებები. ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სასკოლო და საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები. სათანადო დონეზე არ დგას სპორტული სკოლის მუშაობა, კოლმეურნეობათა და საწარმო-დაწესებულებათა ერთ ნაწილში მწვავედ იგრძნობა ბაზების სიმცირე, ცუდადაა ინვენტარით მომარაგების საქმე. მაგალითად, ქორეთის, ჭორვილის, მახათაურის, კორბოულის ორჯონიკიძისა და რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებს დღემდე არ გამოუყვიათ ნაკვეთები სპორტული მოედნებისთვის.

რაიკომის ბიურომ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში არსებულ ხარვეზთა აღმოსაფხვრელად.

**ა. ანასაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

საჩხერე.

## წერილი რედაქციას

# უთავბოლობა

ერთ დროს ჩვენი სკოლის ეზო სამხრეთ ოსეთში ყველაზე კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა იყო. გვქონდა ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, მძლეოსნობის სექტორები. ოლქში საერთოდ ცოტა ბაზა გვაქვს და ამიტომ ფრენბურთსა და კალათბურთში შეჯიბრებები უმეტესად ჩვენს მოედნებზე ტარდებოდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს სკოლის სპორტულ სარბიელზე სპორტის სასახლის მშენებლობის დაწყება გადაწყვიტეს. მოვიდნენ მშენებლები, ძირში მოჭრეს ჩვენი ხელით დარგული ხეები, წლების მანძილზე რომ ვუვლიდით, დაიწყეს საძირკვლის გაჭრა, რომელმაც იმსხვერპლა ჩვენი ფეხბურთის მინდორი, მძლეოსნობის სექტორები და ფრენბურთის მოედანი. ეს იყო 1958 წელს. რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა ბრძანება, მშენებლობა შეაჩერეთო. ამ საქმისთვის დახარჯული 82 ათასი მანეთი წყალში გადაყრილი აღმოჩნდა. დიდი დავის შემდეგ ნება დაგვრთეს, რომ მოედნები ხელახლა მოგვეწყო. ამ საქმეს ერთი შემოდგომა შევწირეთ. მალე მზად იყო ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთის მოედანი, მძლეოსნობის სექტორები...

ისევ გამოცოცხლდა სკოლის ფიზკულტურული ცხოვრება, ისევ დაიწყო საოლქო და საქალაქო შეჯიბრებები ჩვენს მოედნებზე. მაგრამ დადგა 1966 წლის აგვისტო და მშენებლებმა კვლავ „გაგვახარეს“, — ახლა მეორე მხარეს გაკაფეს ნარგავები და ჩაყარეს საძირკველი: ამჯერად, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მშენებლობა დაიწყეს.

სად არ ვაფრინეთ საჩივარი! საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსაც მივმართეთ, მაგრამ... არაფერი გამოვიდა და კვლევითი ინსტიტუტი აშენდა თითქმის ორ სკოლას შუა, რომელთაგან თვითეულში 800 მოსწავლე სწავლობს.

ჩვენ თითქმის შევურიგდით ბედს და დანგრეული ბაზის სანაცვლოდ კალათბურთის ერთი, თუნდაც მოასფალტებული მოედნის მოწყობა მოვითხოვეთ. ინსტიტუტის დირექციამ მტკიცე უარი რომ გვტკიცა, ქალაქის საბჭოს მივმართეთ. იქ დახმარებას დაგვპირდნენ, მაგრამ საქმეს თავი არავინ მოაბა.

როდემდე გაგრძელდება ასე?

**გ. დევაძე,**
ცხინვალის 1-ლი ქართული საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.

## უმოქმედო კოლექტივი

დრანდის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ა. ლუსპარიანი) გამგეობა და ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო არავითარ ყურადღებას არ აქცევენ სპორტის მოყვარულებს, ფიზკულტურელებს. სოფლის ახალგაზრდებს მარტივი ტიპის მოედნებიც კი არა აქვთ.

**შ. ჯალალონია.**
(ჩვენი კორ.).

გულრიფშის რაიონი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# დანაშაული და სასჯელი

## თბილისის „ბურევესტნიკის“ პროტესტი მიღებულია

ეს მოხდა 19 მარტს კიევში. კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ გათამაშების ლიდერი — კიევის ასკ და თბილისის „ბურევესტნიკი“. თამაშის დაწყებიდან 9 წუთი იყო გასული, როცა თბილისელი მანაგაძე დაჯარიმდა. პერსონალური შეცდომა, ანუ ჯარიმა კალათბურთში ჩვეულებრივი რამაა და მისი დანიშვნა არავის გაკვირვებია, მით უმეტეს, არმიელი ნოვიკოვი მეტად ხელსაყრელ პოზიციაში იყო.

მაგრამ ალბათ იმიტომ, რომ 2 ქულა თითქმის გარანტირებული ჰქონდა, ნოვიკოვს ეცოტავა სასჯელის ზომა (საინტერესოა, რას მოითხოვდა იგი) და თავისი თავი ერთბაშად თემიდას როლში წარმოიდგინა. ნოვიკოვისეული მართლმსაჯულება მეტად ცალმხრივი გამოდგა, რის გამოც მსაჯთა ბრიგადამ (ვ. ბალძენსი — ი. დანევიჩი) მას ხულიგნური საქციელის კვალიფიკაცია მისცა. ბუნებრივია, ნოვიკოვმა მოედანი დატოვა.

აი, სწორედ აქ დაიწყო მსაჯთა შეცდომა, რომელმაც საბოლოოდ ბურევესტნიკელთა სამართლიანი პროტესტი განაპირობა. მაშ ასე, გავიდა ნოვიკოვი, შემოვიდა პინჩუკი, რომელმაც განახორციელა კიდეც ორი საჯარიმო სროლა. მსაჯებმა თავიანთი გადაწყვეტილება ასე განმარტეს: „საჯარიმო სროლა ინციდენტამდე იყო დანიშნული, ამიტომაც ასკ-ს იგი უნდა შეესრულებინა. რაც შეეხება ხულიგნურ გამოხდომას, ნოვიკოვი ამისთვის სამართლიანად და მკაცრად დაისაჯა“.

ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ მსაჯებს, როგორც ჩანს, ერთი „უმნიშვნელო“ დეტალი გამორჩათ: ნოვიკოვის გაძევებას ავტომატურად უნდა დართვოდა ორი ტექნიკური საჯარიმო სროლა მასპინძლების კალათში. ეს გარემოება სურათს მთლიანად შეცვლიდა, ვინაიდან ერთდროულად ორ კალათში საჯარიმოს არ ესვრიან. ასეთ შემთხვევაში მსაჯები ნიშნავენ სადავო გდებას მოედნის ცენტრში.

ახლა კი გაიხსენეთ მატჩის ანგარიში — 69:68 უკრაინელთა სასარგებლოდ და ცხადი გახდება, რატომ გააპროტესტეს შედეგი ბურევესტნიკელებმა.

კალათბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა ამ დღეებში განიხილა თბილისელთა პროტესტი და დააკმაყოფილა იგი. აღნიშნული მატჩის შედეგი გაუქმდა. არბიტრებს ვ. ბალძენსსა და ი. დანევიჩს ჩემპიონატის ბოლომდე დისკვალიფიკაცია მიეცათ.

მომხდარი ინციდენტის თაობაზე იმსჯელა კიევის ასკ-მაც, მაგრამ დამნაშავეს (ნოვიკოვს) მეტად ლმობიერი სასჯელი გამოუტანა (დისკვალიფიკაცია ერთი მატჩით და გათამაშების ბოლომდე — პირობით), რასაც ჩემპიონატის მსაჯთა კოლეგია არ დაეთანხმა. მისი გადაწყვეტილება უფრო მკაცრია: ძალაში დარჩეს პირობითი დისკვალიფიკაცია და აეკრძალოს ნოვიკოვს ორ მატჩში თამაში.

# ტაქტიკამ გაამართლა

**კაუნასი, 26 მარტი.** ერთთვიანმა წარუმატებელმა ტურნემ ჩემპიონატის ექს-ლიდერი „ჟალგირისი“ კარგა ხნით გადაისროლა სატურნირო ცხრილის შუაგულში. ახლა კაუნასელები ნელ-ნელა გონს მოდიან და დაკარგულს ინაზღაურებენ.

„სტროიტელთან“ მატჩის პირველმა ნახევარმა მასპინძლებს ვერ მოუტანა უპირატესობა. „ჟალგირისმა“ ვერაფერი გააწყო მაღალი ტანის ოკიპნიაკის წინააღმდეგ და ტაიმიც ფრედ დამთავრდა — 29:29. შესვენების შემდეგ ლიტველებმა პრესინგს მიმართეს იმ ვარაუდით, რომ ხელი შეეშალათ ოკიპნიაკისკენ მიმავალი გადაცემებისთვის. ტაქტიკამ გაამართლა. მასპინძლებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და გამარჯვებასაც მიაღწიეს — 60:51.

* * *

**მოსკოვი, 26 მარტი.** ცსკა-სა და ტარტუს „კალევის“ განმეორებითი მატჩი, როგორც ორი წვეთი წყალი, ისე ჰგავდა თავის წინამორბედს. არმიელებმა მეტოქეს თავბრუდამხვევი ტემპი შესთავაზეს, რომელიც ესტონელებმა უჭოჭმანოდ მიიღეს. ალბათ, ეს იყო მათი მთავარი შეცდომა, რადგან მეორე ტაიმის ბოლოს „კალევი“ გაცილებით უფრო დაღლილი იყო, ვიდრე ცსკა. არმიელებმა გაიმარჯვეს — 63:52.

* * *

**რიგა, 26 მარტი.** კიევის არმიელები გამოერკვნენ ღრმა ნოკაუტის შემდეგ და განმეორებითი მატჩი მოუგეს ადგილობრივ ვეფ-ს — 74:62.

# გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო პირველობის მორიგი კალენდარული მატჩი: ადგილობრივი „ბურევესტნიკი“ შეხვდა ბაქოელ თანაკლუბელებს. მძაფრ ბრძოლაში გაიმარჯვეს სტუმრებმა — 72:71 (39:34).

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 32 | 23 | 9 | 2299—2200 | 23 |
| ასკ (კიევი) | 35 | 22 | 13 | 2467—2325 | 22 |
| ცსკა | 34 | 22 | 12 | 2222—2098 | 22 |
| „დინამო“ (თბილისი) | 30 | 20 | 10 | 2196—2057 | 20 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 36 | 19 | 17 | 2415—2345 | 19 |
| ვეფ (რიგა) | 34 | 18 | 16 | 2409—2385 | 18 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 33 | 18 | 15 | 2166—2142 | 18 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 33 | 17 | 16 | 2340—2294 | 17 |
| ასკ (რიგა) | 34 | 16 | 18 | 2484—2461 | 16 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 32 | 14 | 18 | 2066—2056 | 14 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 36 | 7 | 29 | 2461—2791 | 7 |
| „ბურევესტნიკი“ (ბაქო) | 33 | 6 | 27 | 2393—2790 | 6 |

# თასი — კვლავ დინამოელებს

(დასასრული)

მაშის მსვლელობაში აშკარად შეიმჩნეოდა ტექნიკური და ტაქტიკური ხასიათის შეცდომები, იგრძნობოდა, რომ მოთამაშეები ჯერ კიდევ არ არიან სრულ ფორმაში (გაუწიეთ ანგარიში, რომ ჯერ კიდევ მარტია). მაგრამ საბრძოლო ტონუსი, გამარჯვებისადმი სწრაფვა და ენთუზიაზმი ორივე გუნდს საკმარისზე მეტი ჰქონდა. ამიტომ გამოდგა გუშინდელი მატჩი ასე დაძაბული და ტემპერამენტით აღსავსე.

პირველივე წუთები უკვე თავისებურ შესავალს წარმოადგენდა 120-წუთიანი თამაშისთვის. მას შემდეგ, რაც ვშივცევმა მე-3 წუთზე ვერ გამოიყენა ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობა, მარქაროვმა და ბანიშევსკიმ გაითამაშეს ძალზე საინტერესო, ოსტატური კომბინაცია, რომელიც კარში ძლიერი დარტყმით დამთავრდა. იაშინმა შესანიშნავად ითამაშა — მართლაც აუღებელი ბურთი აიღო.

ბაქოელებს თითქმის სრული უპირატესობა ჰქონდათ, მინდვრის შუაგულიც მათი იყო, მოწინააღმდეგის ნახევარიც, მაგრამ გოლი სწორედ მათ კარში იქნა გატანილი: ევრიუჟიხინის მიერ ფლანგიდან დარტყმულ ბურთს კოსენკოვმა ვერაფერი მოუხერხა — 1:0.

ტაიმის ბოლომდე „ნეფტჩი“ თითქმის არ მოსცილებია დინამოელთა კარს. დეზორგანიზებული იყო მოსკოველთა თავდასხმაც, დაცვაც, იაშინიც... ბაქოელებმა ბოლომდე მიიყვანეს თავიანთი შტურმი და ბანიშევსკიმ ტუაევის გადაცემიდან 28-ე წუთზე თავით გაქვითა გოლი — 1:1.

მეორე ტაიმის 30 წუთის მანძილზე „ნეფტჩი“ ინარჩუნებდა სრულ უპირატესობას. მას შესაძლებლობა ჰქონდა უფრო რაციონალურად, მეტი ყურადღებით ემოქმედა შეტევის დამთავრებისას და, კერძოდ, კარში გადამწყვეტი დარტყმებისას, მაგრამ აზარტი და ნაჩქარევობა ხშირად უშლიდა ხელს თავდამსხმელებს მიეღწიათ მიზნისთვის.

მოსკოველებმა გაუძლეს ამ ძლიერ დაწოლას, ბოლო 15 წუთში კი თამაში საგრძნობლად შეიცვალა. თავდასხმის ცენტრში იერიშის მთელი სერია ჩაატარეს კოზლოვმა და ავრუცკიმ, მათთან კონტაქტი, როგორც იქნა, მოაწესრიგეს გუსაროვმა და მასლოვმა. ინიციატივა უკვე „დინამოს“ მხარეს იყო.

1:1. საჭირო შეიქნა დამატებითი დროის დანიშვნა. დინამოელები კვლავინდებურად ფლობდნენ ბრძოლის სადავეებს და ავრუცკიმ 97-ე წუთზე საუკეთესოდ გამოიყენა მარჯვნიდან მოწოდებული კუთხური — 2:1.

„ნეფტჩიმ“ შეტევაში ისროლა მთელი ძალები. დინამოელთა კარი ხშირად ბეწვზე ეკიდა, 119-ე წუთზე ტუაევი თითქმის მარტო იყო დარჩენილი კარის წინ, მაგრამ ამაოდ.... მოსკოვის „დინამომ“ შეინარჩუნა „ენძელას“ თასი.

**რ. ქორიძე.**

* * *

მატჩის დამთავრების შემდეგ „ფუტბოლ-ჰოკეის“ რედაქტორმა ლ. ფილატოვმა და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ გ. კაფანოვმა მოახდინეს დაჯილდოება. მოსკოვის „დინამოს“ გადაეცა გარდამავალი თასი, მოთამაშეებსა და მწვრთნელებს — სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს I ხარისხის დიპლომები. II ხარისხის დიპლომები გადაეცათ ბაქოელებს.

## მესამე პრიზი — როსტოველებს

26 მარტს სოჭის ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ „ენძელას“ თასის III ადგილის მაძიებლები — როსტოვის არმიელთა გუნდი და მოსკოვის „ლოკომოტივი“.

მატჩის „დებიუტი“ მოსკოველთა სასარგებლოდ მიმდინარეობდა. ანგარიში გახსნა ბასალაევმა, მაგრამ შემდგომში არმიელთა მთავარმა ბომბარდირმა კოპაევმა გაიტანა საპასუხო გოლი და თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

დებულების თანახმად თვითეულ კარში დაინიშნა 5 პენალტი. როსტოველებმა შეძლეს სამი პენალტის რეალიზება, ხოლო „ლოკომოტივმა“ — მხოლოდ ორისა. ამრიგად, მატჩის საერთო ანგარიშია 4:3 როსტოვის არმიელთა გუნდის სასარგებლოდ, რომელიც გათამაშებაში III ადგილზე გავიდა.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

## იტალია

გათამაშების XXIV ტურში მილანის „ინტერმა“ ფერარაში მოუგო ადგილობრივ „სპალს“ (2:1), რის შემდეგ გუნდმა გადაინაცვლა VI ადგილზე.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „კალიარი“ — „სამპდორია“ 3:3, „ფიორენტინა“ — „იუვენტუსი“ 2:0, „მილანი“ — „ლანეროსი“ 2:0, „ნაპოლი“ — „ბოლონია“ 0:0, „ტორინო“ — „მანტოვა“ 4:1, „რომა“ — „ვარეზე“ 1:0, „ბრეშია“ — „ატალანტა“ 2:1.

საუკეთესო სნაიპერია პრატი („მილანი“) — 13 გოლი.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მილანი“ | 24 | 44:21 | 36 |
| „ტორინო“ | 24 | 38:19 | 30 |
| „ფიორენტინა“ | 24 | 27:18 | 28 |

## იუგოსლავია

ჩემპიონატის ლიდერმა — ბელგრადის „პარტიზანმა“ შინ მოუგო ზაგრების „დინამოს“ (2:0), ხოლო თასის მფლობელმა — სპლიტის „ჰაიდუკმა“ ფრედ ითამაშა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“ — 1:1. ქვეყნის ჩემპიონმა — „ფკ სარაევომ“ კიდევ 2 ქულა დაკარგა, ამჯერად, სკოპლეს „ვარდართან“ (1:2) და XIV ადგილზე იმყოფება.

| | | | |
|---|---|---|---|
| „პარტიზანი“ | 17 | 25:14 | 24 |
| „ჟელეზნიჩარი“ | 17 | 30:16 | 23 |
| „ცრვენა ზვეზდა“ | 17 | 28:17 | 21 |

## ესპანეთი

მადრიდის „რეალმა“ კორდოვაში ფრედ ითამაშა ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდთან — 3:3.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ბეტისი“ — „სევილია“ 0:0, „ბარსელონა“ — „ლას პალმასი“ 2:0, „ესპანიოლი“ — „ატლეტიკო“ (ბილბაო) 2:1, „ვალენსია“ — „რეალ სოსიედადი“ 3:2, „მალაგა“ — „საბადელი“ 2:1, „ელჩე“ — „პონტევედრა“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი“ (მადრიდი) | 25 | 49:23 | 35 |
| „ბარსელონა“ | 24 | 38:23 | 32 |
| „ვალენსია“ | 25 | 46:31 | 31 |

## პოლონეთი

ზაბჟეს „გურნიკმა“ ჩემპიონატის XVIII ტურში ბიტომში წააგო ადგილობრივ „შომბიერკისთან“ — 0:2, ვარშავის „ლეგიამ“ და ხოჟუვის „რუხმა“ ფრედ ითამაშეს — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლეგია“ (ვარშავა) | 15 | 21:10 | 22 |
| „რუხი“ (ხოჟუვი) | 15 | 34:18 | 22 |
| „გურნიკი“ (ზაბჟე) | 15 | 29:18 | 18 |

## ჩეხოსლოვაკია

ბრატისლავის „ინტერმა“ შინ დაამარცხა ტრენჩინის „იედნოტა“ (3:2) და სათავეში ჩაუდგა გათამაშების ცხრილს.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ინტერი“ (ბრატის.) | 14 | 31:20 | 18 |
| „იედნოტა“ (ტრენჩ.) | 14 | 26:19 | 18 |
| „სპარტაკი“ (ტრნავა) | 13 | 27:14 | 16 |

## ავსტრია

ვენის „რაპიდმა“ მიიღო ბრეგენცის „შვარც-ვაისი“ და გაიმარჯვა — 6:0. თასის მფლობელმა — ვენის „აუსტრიამ“ შინ დაამარცხა კლაგენფურტის „აუსტრია“ — 9:4!

| | | | |
|---|---|---|---|
| „რაპიდი“ | 17 | 55:15 | 28 |
| „აუსტრია“ | 17 | 36:16 | 26 |
| „ვაკერი“ | 17 | 25:16 | 23 |

# ოლიმპიადების ისტორიაზე...

დაბა ჩაქვის რუსულ საშუალო სკოლაში, სადაც ფიზაღზრდის მასწავლებლად ახალგაზრდა პედაგოგი რ. ბასილაია მუშაობს, სპორტული საღამო მოეწყო. შეკრებილთ ოლიმპიური თამაშების ისტორიულ წარსულზე ესაუბრა რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის მასწავლებელი ი. მჟავანაძე.

დასასრულს გაიმართა შეხვედრები ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, სიმძიმეების აწევაში. მასპინძლებთან ერთად სარბიელზე გამოვიდნენ ქობულეთის ბავშვთა სპორტული სკოლის აღსაზრდელებიც.

**ლ. ტრაპაიძე.**
**(ჩვენი კორ.).**
ქობულეთის რაიონი.

# ხარის რქაზე



ამ სურათზე თქვენ ხედავთ 22 წლის ესპანელ მატადორს გუილერმო გუტიერეს, რომელიც ხარის თავზე „ისვენებს“. ეს მოხდა მადრიდში, „ლას ვენტას“ არენაზე ამ მატადორის დებიუტის დროს. ხარმა მარჯვენა რქით გუტიერეს ჭრილობა მიაყენა.

# მოკლედ

● **ლონდონი.** წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ჯ. ჩარლზი დანიშნულია ინგლისის მოყვარულთა კლუბ „ჰერფორდ იუნაიტედის“ მწვრთნელად.

● **ციურიხი.** უეფა-ს სამდივნოს მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ 1968-69 წლების ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალი დანიშნულია 28 მაისს, ხოლო თასების მფლობელთა თასის ფინალი — 21 მაისს. საკითხს, თუ სად გაიმართება ეს შეხვედრები, გადაწყვეტს უეფა-ს კონგრესი 6-7 ივნისს რომში.

● **ბუენოს-აირესი.** სახელოვანი არგენტინელი ფეხბურთელი ლაბრუნა, რომელიც 40 წლისაა და მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა 1958 წელს შვეციაში, დანიშნულია ბუენოს-აირესის „რივერ პლატას“ მთავარ მწვრთნელად.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.


## თბილისის სპორტული ცხოვრება

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობა. **დღეს:** „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (ბაქო). **30-31 მარტი.** „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი). მატჩების დასაწყისი 20 ს.

**ტყვიის სროლა.** ავჭალის სასროლეთი. **28-31 მარტი.** საქართველოს უძლიერეს სპორტსმენთა შეჯიბრება. დასაწყისი 10 ს.

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **28 მარტი-8 აპრილი.** თბილისის ვაჟთა პირველობა. დასაწყისი 17 ს.


ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 8 უე 07457